საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის

ბრძანება №39/ნ

2026 წლის 19 მარტი

ქ. თბილისი

„საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 19 სექტემბრის №100/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 19 სექტემბრის №100/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 22/09/2025; სარეგისტრაციო კოდი: 430110000.22.022.018735) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დებულების:

1. მე-5 მუხლის „ჯ“-„ჰ^2“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

2. მე-6 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

3. მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ზედამხედველობს და კოორდინაციას უწევს დეპარტამენტის ფინანსური მართვისა და ანალიზის სამმართველოსა და შესყიდვების სამმართველოს მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებას;“.

4. მე-16 მუხლი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2026 წლის 26 აპრილიდან.

საქართველოს განათლების,
მეცნიერებისა და ახალგაზრდობის **გივი მიქანაძე**
მინისტრი